

შპს დუალმაინდ

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მსს ფასს-ზე გადასვლა.....	5
4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
6. სავაჭრო მოთხოვნები	9
7. მარაგები	10
8. გაცემული ავანსები	10
9. ძირითადი საშუალებები	10
10. სავაჭრო ვალდებულებები.....	11
11. მიღებული ავანსები	12
12. საკუთარი კაპიტალი.....	12
13. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	12
14. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
16. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	14
17. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20	31-12-19
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	341,563	42,814	89,786
სავაჭრო მოთხოვნები	6	538,850	844,514	325,293
მარაგები	7	1,753,651	708,820	501,736
გაცემული ავანსები	8	484,391	436,082	24,315
სხვა მიმდინარე აქტივები		3,977	307	64
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,122,432	2,032,537	941,194
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	432,021	296,337	161,290
სულ გრძელვადიანი აქტივები		432,021	296,337	161,290
მთლიანი აქტივები		3,554,453	2,328,874	1,102,484
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	10	48,884	161,316	13,199
მიღებული ავანსები	11	122,277	38,766	57,673
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		563	16,706	17,318
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		171,724	216,788	88,190
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები		-	72,284	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	72,284	-
მთლიანი ვალდებულებები		171,724	289,072	88,190
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		3,382,729	2,039,802	1,014,294
სულ საკუთარი კაპიტალი	12	3,382,729	2,039,802	1,014,294
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		3,554,453	2,328,874	1,102,484

დირექტორი

3



დიტო შერგელაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20	31-12-19
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	341,563	42,814	89,786
სავაჭრო მოთხოვნები	6	538,850	844,514	325,293
მარაგები	7	1,753,651	708,820	501,736
გაცემული ავანსები	8	484,391	436,082	24,315
სხვა მიმდინარე აქტივები		3,977	307	64
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,122,432	2,032,537	941,194
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	432,021	296,337	161,290
სულ გრძელვადიანი აქტივები		432,021	296,337	161,290
მთლიანი აქტივები		3,554,453	2,328,874	1,102,484
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	10	48,884	161,316	13,199
მიღებული ავანსები	11	122,277	38,766	57,673
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		563	16,706	17,318
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		171,724	216,788	88,190
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები		-	72,284	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	72,284	-
მთლიანი ვალდებულებები		171,724	289,072	88,190
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		3,382,729	2,039,802	1,014,294
სულ საკუთარი კაპიტალი	12	3,382,729	2,039,802	1,014,294
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		3,554,453	2,328,874	1,102,484

დირექტორი -----

დიტო შერგელაშვილი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	4,836,455	3,016,138
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	14	(2,947,840)	(1,651,062)
საერთო მოგება		1,888,615	1,365,076
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(145,248)	(95,929)
ხელფასები და სხვა სარგებელი	16	(322,742)	(144,727)
ცვეთის ხარჯი	9	(36,541)	(11,661)
სხვა შემოსავლები		1,135	1,019
სხვა ხარჯები		(38,058)	(4,335)
მოგება პროცენტებამდე და საკუროსო სხვაობამდე		1,347,161	1,109,443
საპროცენტო შემოსავალი		108	-
საპროცენტო ხარჯი		(5,278)	(1,232)
მოგება საკუროსო სხვაობიდან		936	(7,220)
მოგება დაბეგვრამდე		1,342,927	1,100,991
მოგების გადასახადი		-	(3,715)
წმინდა მოგება		1,342,927	1,097,276

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარი		-	1,014,294	1,014,294
წმინდა მოგება		-	1,097,276	1,097,276
დივიდენდის გატანა	12	-	(71,768)	(71,768)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	12	-	2,039,802	2,039,802
წმინდა მოგება		-	1,342,927	1,342,927
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	12	-	3,382,729	3,382,729

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „დუალმინდ“ დაფუძნდა 2015 წელს. ვაკე-საბურთალოს რაიონი, დასახლება დიდი დილომი, III მ/რ, კორპ. 20, ავტოფარეხი, შენობა-ნაგებობა №20. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405110776

კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები: დიტო შერგელაშვილი (პ/ნ 18001063809) – 33,3%, მიხეილ კელენჯერიძე (პ/ნ 18001063820) – 33,3%, დავითი მჭედლიძე (პ/ნ 18001063811) – 33,3%,

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობა სამედიცინო აპარატურით და ინსტრუმენტებით, ასევე სამედიცინო აპარატურის შეკეთება და მონტაჟი. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი: დიტო შერგელაშვილი (პ/ნ 18001063809).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2020 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ნებადართული გამონაკლისები.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და

დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30-50
ძირითადი საშუალების კეთილმოწყობა	2-3
მანქანა-დანადგარები	2-4
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-7

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

4.4 მარაგები.

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები. თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი. კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

4.5 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

4.6 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქციტოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელების მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

4.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული სრულად განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. კომპანია არ ინახავს ფულის სალაროში. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-21	31-12-20
ლარი	326,985	38,159
ევრო	6,162	2,836
აშშ დოლარი	8,416	1,819
სულ	341,563	42,814

6. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება მოთხოვნებისგან ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე კომპანიების მიმართ. მათ შორისაა 40-ზე მეტი ქართული ჰოსპიტალი.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-21	31-12-20
საქართველოს რეზიდენტებისგან	533,475	843,454
საქართველოს არარეზიდენტებისგან	5,375	1,060
წმინდა მოთხოვნები	538,850	844,514

7. მარაგები

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

მარაგები	31-12-21	31-12-20
სარეალიზაციო საქონელი	1,619,611	690,181
სხვა	134,040	18,639
სულ მარაგები	1,753,651	708,820

8. გაცემული ავანსები

გაცემული ავანსები ძირითადად შედგება სამედიცინო აპარატურისთვის და ინსტრუმენტებისთვის გადახილი ავანსებისგან.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

გაცემული ავანსები	31-12-21	31-12-20
საქართველოს რეზიდენტებზე	22,489	2,712
საქართველოს არარეზიდენტებზე	461,902	433,370
წმინდა მოთხოვნები	484,391	436,082

9. ძირითადი საშუალებები

2021 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	რეალიზაცია	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობები	262,156	102	-	262,258
ძირითადი საშუალების კეთილმოწყობა	10,085	-	-	10,085
მანქანა-დანადგარები	350	1,082	-	1,432
ოფისის აღჭურვილობა	15,852	97,197	(179)	112,870
ავეჯი და სხვა ინვენტარი	23,596	40,138	-	63,734
სატრანსპორტო საშუალება	15,822	33,512	-	49,334
სულ	327,861	172,031	(179)	499,713

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	რეალიზაცია	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობები	7,574	6,837	-	14,411
ძირითადი საშუალების კეთილმოწყობა	1,833	2,017	-	3,850
მანქანა-დანადგარები	2	250	-	252
ოფისის აღჭურვილობა	4,735	12,669	(373)	17,031
ავეჯი და სხვა ინვენტარი	11,051	8,867	-	19,918
სატრანსპორტო საშუალება	6,329	5,901	-	12,230
სულ	31,524	36,541	(373)	67,692

2020 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	რეალიზაცია	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობები	142,874	119,282	-	262,156
ძირითადი საშუალების კეთილმოწყობა	-	10,085	-	10,085
მანქანა-დანადგარები	-	350	-	350
ოფისის აღჭურვილობა	5,642	10,210	-	15,852
ავეჯი და სხვა ინვენტარი	16,815	6,781	-	23,596
სატრანსპორტო საშუალება	15,822	-	-	15,822
სულ	181,153	146,708	-	327,861

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	რეალიზაცია	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობები	5,715	1,859	-	7,574
ძირითადი საშუალების კეთილმოწყობა	-	1,833	-	1,833
მანქანა-დანადგარები	-	2	-	2
ოფისის აღჭურვილობა	3,275	1,460	-	4,735
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7,709	3,342	-	11,051
სატრანსპორტო საშუალება	3,164	3,165	-	6,329
სულ	19,863	11,661	-	31,524

10. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად წარმოადგენს დავალიანებებს ინვენტარის მომწოდებელი კომპანიების მიმართ.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-21	31-12-20
საქართველოს რეზიდენტებზე	43,278	131,805
საქართველოს არარეზიდენტებზე	5,606	29,511
სულ	48,884	161,316

11. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები ძირითადად შედგება სამედიცინო აპარატურისთვის და ინსტრუმენტებისთვის ან მათი მონტაჟისთვის მიღებული ავანსებისგან.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

მიღებული ავანსები	31-12-21	31-12-20
საქართველოს რეზიდენტებისგან	122,277	34,970
საქართველოს არარეზიდენტებისგან	-	3,796
სულ	122,277	38,766

12. საკუთარი კაპიტალი

2021 წელს არ განხორციელდა დივიდენდის გატანა, ხოლო 2020 წელს გაიტანეს 71,768 ლარის ოდენობით.

13. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობა სამედიცინო აპარატურით და ინსტრუმენტებით, ასევე სამედიცინო აპარატურის შეკეთება და მონტაჟი.

2021 და 2020 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

რეალიზაცია	31-12-21	31-12-20
კომპიუტერული ტომოგრაფი	1,676,650	182,424
სასუნთქი აპარატურა	901,687	746,868
რენტგენის აპარატურა	345,295	173,973
ანგიოგრაფი	6,692	250,785
სხვა	1,906,131	1,662,088
სულ რეალიზაცია	4,836,455	3,016,138

14. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2021 და 2020 წლების განმავლობაში დარიცხული რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

თვითღირებულება	31-12-21	31-12-20
კომპიუტერული ტომოგრაფი	1,103,936	141,445
სასუნთქი აპარატურა	571,772	409,612
რენტგენის აპარატურა	243,804	117,744
ანგიოგრაფი	4,625	150,862
სხვა	1,023,703	831,399
სულ თვითღირებულება	2,947,840	1,651,062

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-21	31-12-20
რემონტის ხარჯი	30,619	12,557
საკონსულტაციო ხარჯები	18,228	16,862
იჯარის ხარჯი	16,836	12,601
საწვავის ხარჯი	15,847	10,862
საბანკო ხარჯი	14,481	8,650
კომუნალური ხარჯი	10,077	1,174
მივლინების ხარჯები	2,991	7,823
მიწოდების ხარჯები	7,457	1,796
წარმომადგენლობითი ხარჯი	3,266	-
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	2,714	244
სხვა	22,732	23,360
სულ	145,248	95,929

16. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-21	31-12-20
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	246,226	105,929
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	76,516	38,798
სულ	322,742	144,727

17. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2021 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 246,226 ლარი, ხოლო 2020 წელს 105,929 ლარი.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.